საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
სამინისტრო

სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო
სააგენტო

MINISTRY OF ECONOMY AND
SUSTAINABLE DEVELOPMENT
OF GEORGIA

LEPL STATE AGENCY
OF OIL AND GAS

საქართველო, ქ.თბილისი 0114, სანაპიროს ქ. 2
2 Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia;

ტელ: (+995 32) 2 25 33 02/99
Tel: (+995 32) 2 25 33 02/99

186-05-2-201907151632

N 05-186
15/07/2019

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ასლი: სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“
შპს „საქართველოს გაზსაცავის კომპანიას“

ქალბატონო ნინო,

მიმდინარე წლის 10 ივლისის N6862/01 თქვენი წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსულ მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს, გაცნობებთ სააგენტოს პოზიციას:

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ნავთობისა და გაზის ოპერაციებს განსაზღვრავს, როგორც ხელშეკრულებით და ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის წიაღში ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს, აგრეთვე ამ სამუშაოებთან უშუალოდ დაკავშირებული ოპერაციებს (მოპოვებული ნავთობისა და გაზის შეგროვებას, მომზადებას, გაზომვასა და შენახვას). „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესების“ მე-17 მუხლის ჰ^3 ქვეპუნქტის თანახმად, ნავთობისა და გაზის ოპერაციები ნიშნავს ძებნა - ძიებას, შეფასებას, დამუშავებას, ექსპლუატაციასა და ლიკვიდაციას, ასევე ნავთობისა და გაზის შეგროვების, მომზადების და მოპოვებული ნავთობისა და გაზის შენახვის ოპერაციებს, რომელსაც ოპერატორი აწარმოებს სახელშეკრულებო ფართობზე, ხელშეკრულებისა და ლიცენზიის საფუძველზე. აღნიშნული წესების XXXVI თავი ასევე განსაზღვრავს გაზის მიწისქვეშ შენახვის დეტალურ ტექნიკურ და პროცედურულ მოთხოვნებს.

სახელმწიფოსა და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის გაფორმებულია სამგორის სამხრეთი თაღის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება, რომლის მინიმალური სამუშაო პროგრამის თანახმად კორპორაცია ვალდებულია გაბურღოს ორი ჭაბურღილი. გაზსაცავის პროექტის პირველ ეტაპზე

გათვალისწინებული ორი ჭაბურღილის ბურღვა უნდა განხორციელდეს, იმავე მონაცემებით, როგორც ეს პწგხ-თია გათვალისწინებული, შესაბამისად სკოპინგის ანგარიშის პირველი ფაზის განმავლობაში ორი საკვლევი ჭაბურღილის ბურღვა ცალსახად წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ოპერაციას.

ტექნიკური თვალსაზრისით, მიწისქვეშა გაზსაცავში გაზის შენახვა იდენტურია როგორც ადგილზე მოპოვებული, ასევე იმპორტირებული გაზისთვის.

დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს მხოლოდ ადგილზე მოპოვებული გაზის მიწისქვეშა შენახვას. თუმცა, ვინაიდან გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზანია განსაზღვროს კონკრეტული ფიზიკური საქმიანობის გავლენა და ზემოქმედება გარემოზე, ცხადია, რომ ეს ზემოქმედება ანალოგიური იქნება როგორც მოპოვებული, ასევე იმპორტირებული გაზის გაზსაცავში შენახვის შემთხვევაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ნავთობისა და გაზის შემცველ წიაღში გაზის შენახვა, დამოუკიდებლად გაზის მოპოვების გეოგრაფიული არეალისა, არსობრივად წარმოადგენს ნავთობისა და გაზის ოპერაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ვაკუუმის აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულია „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების პროექტი და მიმდინარეობს პროცედურები აღნიშნული პროექტის მისაღებად.

პატივისცემით,

გიორგი ტატიშვილი

სააგენტოს უფროსი